ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2673759

ნომერი: AR1413176

თარიღი : 14.06.2016

გაცემის თარიღი : 11.07.2016

გაცნობის თარიღი : 11.07.2016

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , იმედაძის I ჩიხი , N 3 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მიხეილ კუჭავა პ/ნ 01010008127
- თბილისი შ.ნუცუბიძის ფერდ III მ/რ III კვ. კორ. 10 ბ. 29

ორგანიზაცია:

- MK Development კოდი: 404989973

ნომენკლატურა :

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- III კლასი
- ახალი მშენებლობა
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შპს "MK DEVELOPMENT"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 404989973
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: მიხეილ კუჭავა
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01010008127

.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: 03/1116
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 9.10.2007

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული №AR1413176 განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ შემდეგს:

2007 წლის N8354 წლის ქალაქმშენებლობითი პირობების თანახმად საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდებოდა განაშენიანების დაბალი ინტენსივობის საცხოვრებელი ზონა (სზ-2), სადაც კოეფიციენტები განისაზღვრა შემდეგნაირად – K1=0,5; K2=1,3.

2007 წლის N8354 წლის ქალაქმშენებლობითი პირობების საფუძველზე 09.10.2007 წლის N03/1116 ბრძანებით შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პოექტი, რომლის მიხედვითაც K1=0.37 ხოლო K2=1.30.

დღევანდელი მდგომარეობით საპრექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა - 1 (სზ-1), სადაც კოეფიციენტები განისაზღვრება შემდეგნაირად: K1=0,5; K2=0,8 K3=0,30.

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 52–ე მუხლის მე–6 პუნქტის შესაბამისად, თუ შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის, კონსტრუქციული ან/და ტექნოლოგიური სქემის მიხედვით ათი წლის განმავლობაში არ იქნება გაცემული მშენებლობის ნებართვა ან/და ამ ხნის განმავლობაში მოხდა სივრცით-ტერიტორიულ მოწყობასთან დაკავშირებული კანონმდებლობის ან/და სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების არსებითი მახასიათებლების (მაგ.: განაშენიანების რეგულირების კოეფიციენტების, შენობათა მაქსიმალურად დასაშვები სიმაღლეების და სხვ.) ისეთი ცვლილება, რაც იწვევს ქალაქთმშენებლობითი პირობების შეცვლას, გადაწყვეტილება არქიტექტურული პროექტის, კონსტრუქციული ან/და ტექნოლოგიური სქემის შეთანხმების შესახებ ითვლება ძალადაკარგულად.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, ვინაიდან, არქიტექტურული პროექტის შეთანხმების შემდეგ მოხდა ზონის ცვლილება, კერძოდ, განაშენიანების დაბალი ინტენსივობის საცხოვრებელი ზონა (სზ2 – K1=0,5; K2=1,3), შეიცვალა და გახდა საცხოვრებელ ზონა - 1 (სზ-1 – K1=0,5; K2=0,8; K3=0,3) და შესაბამისად მოხდა განაშენიანების რეგულირების კოეფიციენტების ცვლილება, რის შედეგადაც, შეთანხმებული არქიტექტურული პროექტით ათვისებული პარამეტრები აჭარბებს მიწის ნაკვეთზე დღეისთვის გავრცელებულ პარამეტრებს, არქიტექტურული პროექტის შეთანხმების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 52–ე მუხლის მე–6 პუნქტის თანახმად ითვლება ძალადაკარგულად. აქედან გამომდინარე სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს შეთანხმებული პროექტის საფუძველზე მშენებლობის ნებართვის გაცემის საკითხზე.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.